

სათადარიგო მოსამართლის ინსტიტუტი საქართველოს სისხლის
სამართლის პროცესში და მისი სამართლებრივი ასპექტები

დემეტრე ზუბაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზაზა მეიშვილი პროფესორი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დემეტრე ზუბაშვილი, 15.06.2022

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია სათადარიგო მოსამართლის ინსტიტუტის მიმართება სისხლის სამართლის პროცესის ისეთ ძირითად პრინციპებთან, რომლებიცაა საქმის უშუალოდ და ზეპირად განხილვის პრინციპი, მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი და საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობის პრინციპი. ასევე ნაშრომში ერთმანეთს შედარებულია სათადარიგო მოსამართლისა და სათადარიგო ნაფიცი მსაჯულის ინსტიტუტი, დადგენილია თუ რა არის საერთო და რა განმასხვავებელი მათ ფუნქცია-მოვალეობებსა და დანიშვნის წესთან დაკავშირებით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლით განსაზღვრულია საქმის განხილვისას სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობა, კერძოდ სასამართლომ საქმე უცვლელი შემადგენლობით უნდა განიხილოს. თუ რომელიმე მოსამართლეს არ შეუძლია სასამართლო სხდომაში მონაწილეობის მიღება, მას ცვლიან იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლით და საქმის განხილვა ხელახლა იწყება. თუმცა არსებობს გამონაკლისი, სსსკ-ის 184-ე მუხლის თანახმად სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საქმეზე შეიძლება დაინიშნოს სათადარიგო მოსამართლე, რომელიც ცვლის სასამართლო შემადგენლობიდან გასულ მოსამართლეს, და საქმის განხილვა გრძელდება. პრაქტიკაში პრობლემას აჩენს ის გარემოება, რომ კანონი არ ადგენს მკაფიოდ განსაზღვრულ წესს იმის შესახებ თუ როდის უნდა მოხდეს სათადარიგო მოსამართლის დანიშვნა, კონკრეტული მოსამართლისათვის საქმის გადაცემის დროს თუ მას შემდეგ რაც სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე ამა თუ იმ მიზეზით ჩამოშორდება საქმის განხილვას. საერთო სასამართლოებში არსებული პრაქტიკის მიხედვით სათადარიგო მოსამართლის დანიშვნა ხდება საქმის განმხილველი მოსამართლის ჩამოცილების შემთვევაში და საქმის განხილვა ნაცვლად ხელახლა დაწყებისა, გრძელდება

არსებული სტადიიდან, ეს კი ცალსახად არღვევს, როგორც სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც საქმის განმხილველი მოსამართლის შეცვლის შემთხვევაში საქმის განხილვა ხელახლა უნდა დაიწყოს, ასევე საქმის უშუალო და ზეპირი განხილვის და მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს, რადგან აღნიშნული პრინციპების სრულყოფილად რეალიზებისათვის მნიშვნელოვანია, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება იმ მოსამართლემ მიიღოს, ვინც ესწრებოდა საქმის მიმდინარეობას, უსმენდა მხარეებს და შესაბამისად ჩამოუყალიბდა შინაგანი რწმენა ცალკეული მტკიცებულებების სანდოობასა და დამაჯერებლობასთან თუ ბრალდების დასაბუთებულობასთან დაკავშირებით.

კვლევის ფარგლებში გამოკვეთილია ის საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც დაკავშირებულია სათადარიგო მოსამართლის დანიშვნის ინსტიტუტთან და რომლებიც ეწინააღმდეგება პროცესის ძირითად პრინციპებს, დადგენილია ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ქმნის აღნიშნულ უთანხმოებას და რომლის სხვაგვარად ჩამოყალიბებაც მოაგვარებდა ხსენებულ წინააღმდეგობას. კვლევის პროცესში გამოყენებულია აღწერილობით-მიმოხილვითი, ემპირიული, შედარებითი და შეფასების მეთოდები.

კვლევის პროცესში გამოვლინდა რომ სათადარიგო მოსამართლის ინსტიტუტი ეწინააღმდეგება ზემოხსენებულ პრინციპებს, რადგან სათადარიგო მოსამართლის დანიშნვა ხდება არა საქმის დაწყებისთანავე, არამედ მას შემდეგ რაც გამოვლინდება საქმის განმხილველი მოსამართლის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოება, შესაბამისად არსებობს საფრთხე, რომ მხოლოდ ცალკეული მტკიცებულებების გამოკვლევამ მოსამართლეს ჩამოუყალიბოს მცდარი აღქმა და შინაგანი რწმენა ბრალდებულის ბრალეულობასთან დაკავშირებით, რაც ცალსახად ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძირითად პრინციპებს, სამართლიანი სასამართლოს უფლებას და შესაბამისად შეუძლებელს ხდის ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას. თუმცა ეს არ ნიშნავს, სათადარიგო

მოსამართლის ინსტიტუტის აპრიორი გაუქმების საჭიროებას, ვინაიდან სათადარიგო მოსამართლის ინსტიტუტის რედაქტირება, კერძოდ იმის აღნიშვნა, რომ სათადარიგო მოსამართლეც, საქმის არსებითი განხილვის დაწყებისთანავე უნდა ინიშნებოდეს და ესწრებოდეს თითოეულ სასამართლო სხდომას, რათა უშუალოდ მასაც ჩამოუყალიბდეს შინაგანი რწმენა ცალკეული მტკიცებულებების სანდოობასა და დამაჯერებლობასთან დაკავშირებით, აღმოფხვრიდა დღეს არსებულ წინააღმდეგობას, რაც საბოლოოდ უკეთ უზრუნველყოფდა ეფექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სათადარიგო მოსამართლე, უშუალობის პრინციპი, ზეპირობის პრინციპი, მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობის პრინციპი, სათადარიგო ნაფიცი მსაჯული.

Abstract

The paper discusses the relationship of the institution of a reserve judge with the basic principles of criminal procedure, which are the principle of direct and oral hearing of the case, the principle of adversarial proceedings and the principle of inviolability of the composition of the trial court. The paper also compares the institutes of reserve judges and reserve jurors, identifying what they have in common and what distinguishes them in terms of their functions and duties and the appointment procedure.

Article 183 of the Code of Criminal Procedure stipulates that the composition of the court is unchanged during the hearing, in particular, the court must consider the case unchanged. If any of the judges is unable to attend the hearing, he or she shall be replaced by another judge of the same court and the case shall be reopened. However, there is an exception, according to Article 184 of the Criminal Code, by the decision of the chairman of the court, a spare judge may be appointed in the case, who replaces the retired judge, and the case continues. In practice, the problem is that the law does not provide a clearly defined rule as to when a substitute judge should be appointed, when transferring a case to a particular judge, or after a criminal judge has adjourned a case for one reason or another. According to the common practice in the common courts, a replacement judge is appointed in case of removal of the judge hearing the case and the case continues instead of being restarted. And the principle of oral review and adversarial proceedings, for the full realization of these principles requires that the final decision in the case be made by the judge present at the hearing, hearing the parties and thus establishing internal conviction as to the credibility and substantiation of the evidence.

The research identifies the legislative gaps related to the institute of appointment of a reserve judge, which are contrary to the basic principles of the process, and identifies the normative content that creates this discrepancy, and the formation of which would otherwise resolve the

mentioned contradiction. In the research process, I used descriptive-review, empirical, comparative and evaluation methods.

The investigation revealed that the institution of a substitute judge contradicts the above-mentioned principles, as the appointment of a substitute judge takes place not immediately after the commencement of the case but after the exclusion of the judge's case. , Which is clearly contrary to the basic principles of the Code of Criminal Procedure, the right to a fair trial and therefore makes it impossible to administer effective justice. However, this does not mean the need for a priori abolition of the institution of a reserve judge, as the editing of the institution of a substitute judge, in particular, stipulates that a substitute judge must be appointed at the commencement of the substantive hearing and attend each court hearing. Eliminated the resistance that exists today, which would ultimately better ensure the administration of effective and fair justice.

Keywords: spare judge, principle of immediacy, principle of orality, principle of adversarial proceedings, principle of immutability of the composition of the court, spare juror.